LEPL Financial Analytical Service
Digitally signed by LEPL Financial Analytical Service
Date: 2019.01.29 15:20:49 +04'00'

ხელშეკრულება 01-12/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

29 იანვარი 2019 წელი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში - **„შემსყიდველი“**), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანის** სახით და **სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“** (შემდგომში - **„მიმწოდებელი“**), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის, **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც„ **მხარეები**“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ გაწეული ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახეების, საფასურისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N657 დაგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თან დართული ყველა დოკუმენტით და, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება - "საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე“, „კვირა“, „თვე“-კალენდარულიდღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი“-ორგანიზაცია, რომელიცახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
7. "პროგრამული ხარვეზი“ - პროგრამული უზრუნველყოფის ან მონაცემთა ბაზის გაუმართაობა, რომელიც გამოწვეულია პროგრამული კოდის ან ბაზის სტრუქტურული ნაკლით და არ არის დაკავშირებული IT ინფრასტრუქტურის პრობლემასთან ან სისტემური ადმინისტრირების არასწორ/არასრულ განხორციელებასთან.

2. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველის ვებ-გვერდების (mcs.gov.ge; my.mcs.gov.ge; cultureandsports.gov.ge; art.gov.ge) მიმწოდებლის სერვერულ ინფრასტუქტურაზე განთავსების უზრუნველყოფის მიზნით წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის და დანართი N2-ის გათვალისწინებული გამოთვლითი რესურსების მიწოდება და ტექნიკური მხარაჭერა (შესყიდვის დანაყოფი: CPV 72300000 - მონაცემთა მომსახურება, CPV 72321000 - მონაცემთა ბაზების დამატებითი მომსახურებები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 4684 (ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი) ლარს.
2. მომსახურების ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება დანართი N2-ის (ფაქტობრივად გაწეული მომსახურების) შესაბამისად.
3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზემეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ისა და დანართი N2-ის შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე; აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობა;

გ) განახორციელოს სატელეფონო კონსულტაცია ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად;

დ) გეგმიური ტექნიკური სამუშაოების განხორციელების გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომსახურების გაწევის დროებითი შეფერხების შესახებ წინასწარ წერილობით ან/და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართზე აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეფერხების დროისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით.

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დროებითი შეჩერების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამგვარი შეჩერებით გამოწვეულ/შექმნილ ნებისმიერ უწესრიგობაზე.

4. მიმწოდებელი პასუხს არ აგებს სერვისის პროგრამული ხარვეზით გამოწვეულ წყვეტაზე.

5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოონ წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (მიმწოდებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი: 1551@mof.ge, შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი: mtsanava@mes.gov.ge mikheil.tsanava@gmail.com მეშვეობით.

6. მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1მომსახურების მიღება წარმოებს ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ყოველთვიურად, დანართი N2-ის შესაბამისად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

3. დაფინანსების წყარო: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება " (პროგრამული კოდი 320101).

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მეორე მარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე;

2. კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული მომსახურებით ყოველთვიურ ღირებულების განსაზღვრის, გაწეული მომსახურების ხარისხის და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან;

3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მიხელ ცანავა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.
2. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 (ორი) შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მისამართი: თბილისი, სანაპიროს N 4
ტელეფონი: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
ს/კ: 202051224

მიმწოდებელი:

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 16
ტელეფონი: 032 226 15 64; 032 226 15 00, 032 226 12 92
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22,
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707907143
ს/კ: 204577813

დანართი N1

1. **გამოთვლითი რესურსების მიწოდება;**

ა) მომსახურების უწყვეტობა - 99.9%
ბ) გამოთვლით რესურსებთან ქსელური კავშირის უზრუნველყოფა;
გ) მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის კავშირი ხორციელდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით.
დ) გამოყოფილი გამოთვლითი რესურსები (CPU Core, RAM, HDD).

2. გამოთვლითი რესურსების ავტომატური რეზერვირება და აღდგენა

სარეზერვო კოპირება ხორციელდება 5 (ხუთი) კვირიანი ციკლით, კვირაში ერთი სრული სარეზერვო კოპირებით. აღდგენის დრო: სამუშაო საათებში - 30 წუთი, არასამუშაო საათებში - იგივე დრო ინციდენტზე რეაგირების დროის დამატებით.

3. ტექნიკური მხარდაჭერა:

ტექნიკური მხარდაჭერა ხორციელდება სამუშაო დღეებში 09.^{00} საათიდან - 18.^{00} საათამდე, ცხელი ხაზის დახმარებით - 1551. კრიტიკული ინციდენტების შემთხვევაში (როცა სერვისის წყვეტაა სახეზე) აღნიშნულ საათებში მორიგე ჯგუფი ახდენს რეაგირებას 1 (ერთი) საათის განმავლობაში, ხოლო ამ საათების გარეთ - 2 (ორი) საათის განმავლობაში.

მორიგე ჯგუფის საკონტაქტო პირები:

ა) სერვერული ინფრასტრუქტურა:
1. მიხეილ სანდაძე - 599088000, m.sandadze@mof.ge
2. გიორგი კაიშაური - 577051001, g.kaishauri@mof.ge

ბ) ქსელური ინფრასტრუქტურა:
1. ლევან ნაჭყებია - 599086666, lnachkebia@mof.ge
2. გიორგი ბაჩიაშვილი - 595110140 g.bachiashvili@mof.ge

საკონტაქტო პირები შემსყიდველის მხრიდან:
1. მიხეილ ცანავა - 599 959 958, mtsanava@mes.gov.ge mikheil.tsanava@gmail.com

4. მონაცემთა კონფიდენციალობა

მონაცემთა კონფიდენციალობა დაცულია სტანდარტული პროცედურებით - ნებისმიერი წვდომა, კოპირება ლოგირდება მასპინძელი ოპერაციული სისტემის მართვის ცენტრის (VMware vCenter) მეშვეობით და ინახება დაშიფრული სახით SIEM (Security Incident and Event Management) სისტემაში, რომლის მონაცემების ცვლილება არ არის შესაძლებელი.

5. მონაცემთა დაცულობა

მონაცემთა ცენტრების ფიზიკური დაცვა უზრუნველყოფილია შსს დაცვის სამსახურის მიერ. ასევე, ხდება 24 საათიანი უწყვეტი ვიდეო მონიტორინგი. მოქმედებს ინფრასტრუქტურული გაუმართაობების შემთხვევაში ავტომატური შეტყობინებების სისტემა. პროგრამული უზრუნველყოფა ეფუძნება VMware ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფილია ძირითად და სარეზერვო ცენტრებს შორის ავტომატური გადართვის მექანიზმით.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

დანართი N2

ფასთა ცხრილი

რესურსი	ოდენობა	ყოველდღიური ღირებულება (ლარი)
Server cores (სერვერული ბირთვი)	1	2,26
RAM (ოპერატიული მეხსიერება)	1 GB	0,82
HDD (მყარი დისკი)	1 GB	0,048

წინამდებარე დანართი N1-ის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით განსაზღვრული გამოყენებული რესურსების ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება დანართი N2-ში განსაზღვრული ყოველდღიური ტარიფების შესაბამისად;

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: